საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მოსარჩელე: ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივა”
მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 62

წარმომადგენლები: რუსუდან მჭელიშვილი,
კახაბერ კახაბერი
მისამართი: ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. 12
ორგანიზაცია ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი”

მოპასუხე: საქართველოს პარლამენტი
მისამართი: ქ. თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8

კონსტიტუციური სარჩელი

(,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის 20-ე მუხლის I ნაწილის და 26-ე მუხლის I ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებაში)

კანონის მიღების თარიღი: 2005 წლის 24 ივნისი, რს #1775.

მოგახსენებთ, რომ ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის [1]1775-რს კანონის მე-20 მუხლის I ნაწილი და 26-ე მუხლის I ნაწილი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილს და უნდა იქნეს არაკონსტიტუციურად ცნობილი შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: ''ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ”.

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის I ნაწილის თანახმად, კი: ,,ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია რამდენიმე ნაწილად დაყოს სარგებლობის ლიცენზია და სარგებლობის უფლება ან მისი ნაწილი იჯარით ან საკუთრებაში გადასცეს სხვა პირს.”

აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რადგან, სარგებლობის უფლების ან მისი ნაწილის სხვისთვის გადაცემის დროს არ არის გათვალისწინებული საზოგადოების ინფორმირება, საზოგადოება ამ დროს ვერ იქნება დროულად და ადექვატურად ინფორმირებული და შესაბამისად, ამ დროს საზოგადოებას ერთმევა უფლება მიიღოს მონაწილეობა

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ლახავს კონსტიტუციით და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცულ ადამიანის უფლებებს.

რაც შეეხება ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის I ნაწილს, აღნიშნული მუხლი ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას 37-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რადგან ისევე როგორ ზემოთ მითითებულ ნორმაში, ასევე ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის I ნაწილში არ არის დაცული კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილით აღიარებული უფლება საზოგადოებამ მიიღოს დროული და ადეკვატური ინფორმაცია კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე.

,,ლიცენზიებისა და ნებართვების" შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: ,,ნებართვის გამცემი ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და ამ კანონის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა."

ამ შემთხვევაში ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საქათველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული წესი, არ ითვალისწინებს ისეთ პროცედურებს, როგორიცაა ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენა, ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოში საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება, ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენა, ადმინისტრაციული აქტთან დაკავშირებით საჯარო განხილვის ჩატარება და სხვა. ამგვარ პროცედურას ითვალისწინებს მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავი, კერძოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთმითითებული მუხლით ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება მარტივი ადმინისტრაციული წესით, ამით ირღვევა კონსტიტუციით აღიარებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლება.

1998 წელს მიღებულ იქნა კონვენცია "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ". საქართველო 2000 წელს შეუერთდა აღნიშნულ კონვენციას და ამით იკისრა კონვენციით დადგენილი ვალდებულებებისა და მინიჭებული უფლებების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება.

ზემოთ აღნიშნული მუხლები ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილს, ასევე ორჰუსის კონვენციას, რომლის თანახმად, დაუშვებელია ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობაზე საზოგადოებისთვის გარანტირებული უფლებების შეზღუდვა.

ორჰუსის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ: “მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა ზომებს, აგრეთვე ღონისძიებებს, მათ შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ წინამდებარე კონვენციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის დებულებებს შორის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას.”

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის I პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ყველა სხვა სამართლებრივ აქტთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ყველა ის ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ხელყოფს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს, ამ კონკრეტულ სიტუაციაში კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილს, ცნობილ უნდა იქნეს არაკონსტიტუციურად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის I პუნქტის ,,ვ” ქვეპუნქტის, ,,საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონის მე-19 მუხლის I პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის V პუნქტის, 31-ე მუხლის, 39-ე მუხლის I პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, ,,საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის I მუხლის II პუნქტის, მე-10 მუხლის I პუნქტის და მე-16 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ:

1. მიიღოთ და განიხილოთ აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელი;
2. არაკონსტიტუციურად ცნოთ ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 20-ე მუხლის I ნაწილის და 26-ე მუხლის I ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებაში.

მოსარჩელე: 12 დეკემბერი, 2006 წელი

დანართი:

1. სადაო ნორმატიული აქტი;
2. მინდობილობა;
3. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.